იეჰოვას მოწმეთა
ქრისტიანული კრება საქართველოში
THE CHRISTIAN CONGREGATION OF JEHOVAH'S WITNESSES IN GEORGIA
თბილისი, 0163, აეროდრომის დასახლება, ქუჩა 13, №10, ტელეფონი: (+995 32) 276-23-59

07 მარტი, 2024 წელი №10/24

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობა ეძლევა **დავით შაქარაშვილს** (პირადი ნომერი: 01011084229) (შემდგომში „რწმუნებული“) მასზედ, რომ მას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, იყოს **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“**-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406134678) (შემდგომში „მარწმუნებელი“) წარმომადგენელი და „მარწმუნებელის“ სახელით, შემდეგ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით — მდებარე: ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა N190 (ს/კ 01.19.36.014.248) (შემდგომში „უძრავი ქონება“), შეათანხმოს შენობის ფასადის პროექტი, ესკიზი, განახორციელოს ცვლილებები სამშენებლო დოკუმენტებში, მიიღოს მშენებლობის ნებართვა ან/და ნებისმიერი სხვა სახის ნებართვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მის არქიტექტურის სამსახურში ან/და ნებისმიერ სხვა სამსახურსა თუ ორგანოში.

„რწმუნებული“ უფლებამოსილია წარმოადგინოს „მარწმუნებელი“ ნებისმიერ სამსახურში ან/და ადმინისტრაციულ ორგანოში და მესამე პირებთან, მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის სხვა ნებისმიერ სამსახურთან, მათ შორის არქიტექტურის სამსახურთან და „მარწმუნებლის“ სახელით შეიტანოს განცხადება, მათ შორის ელექტრონული ფორმით ატვირთოს განცხადება, პროექტი, ესკიზი თუ ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია „უძრავ ქონებასთან“ დაკავშირებით, განახორციელოს საჭირო დოკუმენტაციის მოძიება, წარადგინოს ზეპირი ან/და წერილობითი მოთხოვნები და პოზიციები, გადაიხადოს შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადები, მიიღოს პასუხი, გაეცნოს შესაბამის დოკუმენტაციას, გადაიღოს ასლები და წარადგინოს მათზე შენიშვნები, განახორციელოს ყველა სხვა მოქმედება, რაც მისთვის დაკისრებული დავალების შესასრულებლად იქნება საჭირო.

„რწმუნებული“ ასევე უფლებამოსილია, „მარწმუნებლის“ სახელით შეასრულოს ნებისმიერი სხვა საჭირო მოქმედება, რაც შესაძლოა პირდაპირ არ არის მინდობილობაში მითითებული, მაგრამ დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ადმინისტრაციის თავმჯდომარე: /თამაზი ხუციშვილი/

ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილის წარმომადგენელი: /ერიკ მირზოიანი/